



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



№ 8

„ 26 „ 06 2019 წ.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების მეორე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მესამე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის, „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 მაისის N15 დადგენილების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 2019 წლის 17 ივნისის MES 3 19 00767815 წერილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ჩამოწერილ იქნეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ჩამოწერის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გამოვლენილი ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივები ( დანართი #1, დანართი #2, დანართი #3, დანართი #4).
2. გადაეცეს შემდგომი განკარგვის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ჩამოწერის საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გამოვლენილი საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ჩამოსაწერი ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივები ( დანართი #4).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების გადაგზავნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურისთვის, ინფრასტრუქტურისა და

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახურისთვის და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებისთვის.

6. ბრძანება განთავსდეს ვებ-გვერდზე.

7. საფუძველი: ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რ. თათეშვილის 2019 წლის 18 ივნისის N775181 მომართვა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზღვილის ქ. N62.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

2.



მაკა ბერიძე